8...18
გლობალერთი

saqarTvelo, 0108 Tbilisi
rusTavelis gamz. 31
tel: (995 32) 439138, 439143
faqsi: (995 32) 923285
e-mail:global-erty@global-erty.net
www.global-erty.net

ს.ს. "გლობალ ერთი"
JSCo "GLOBAL ERTY"
ბასუხის
PASSING № 233
"3" 8 2009
ფურცელი

საქართველოს კომუნიკაციების ეროვნული
კომისის თავმჯდომარეს
ბატონ ირაკლი ჩიქოვანს

ქ. თბილისი

3.08.2009წ

კომისიის 17.10.2008 წლის №605\9 გადაწყვეტლების და კომისიის 23.07.09 წ. №02\1375-09 წერილის საფუძველზე წარმოგიდგენთ ს.ს. „გლობალ ერთის" გაფართოებული ურთიერთჩართვის მომსახურების შეთავაზების წინადადებას (იხ. დანართი 2 გვერდად).

პატივისცემით,
ს.ს. „გლობალ ერთი"-ს
გენერალური დირექტორი:

გ. მაჩიტიძე

შემოსვლის №6/1939-09
06 08 2009
1+2 ფურცელი

## სააქციო საზოგადოება "გ ლ ო ბ ა ლ  ე რ თ ი ს"

### გაფართოებული ურთიერთჩართვის მომსახურების მიწოდების შეთავაზება

(თანახმად კომუნიკაციების ეროვნული კომისიის 2008 წლის 17 ოქტომბრის №605\9 გადაწყვეტილებისა)

ქ. თბილისი 3.08.2009

1. ურთიერთჩართვის წერტილი ქ. თბილისი, რუსთაველის გამზ. №31, წინამძღვრიშვილის ქ. №95 - ასს 91, რუსთაველის გამზ. №12 - ასს 93, ჭავჭავაძის გამზ. №27\29 - ასს 22.

2. პირდაპირი გაფართოებული ურთიერთჩართვა ხორციელდება მხარეთა მიერ თავიანთ ქსელში საჭირო სიმძლავრის საკომუნიკაციო პორტების გამოყოფით. TCP\IP პროტოკოლის გამოყენებით, Ethernet ტექნოლოგიით;

3. „გლობალ ერთი"-ს მიერ გამოყენებულია Cisco-s მიერ წარმოებული აპარატურა. ურთიერთჩართვის მოთხოვნის შემთხვევაში, მხარევალდებულია, გამოიყენოს იგივე ან თავსებადი მწარმოებლის აპარატურა და პროგრამული უზრუნველყოფა.

4. პირდაპირი გაფართოებული ურთიერთჩართვის მოთხოვნის შემთხვევაში, „გლობალ ერთი" გამოყოფს სათანადო სიმეტრიულ პორტს, რომლის გამტარუნარიანობა განისაზღვრება 100 მბიტ\წმ საკომუნიკაციო ექვივალენტით;

5. პირდაპირი გაფართოებული ურთიერთჩართვის არხზე ინტერნეტ ტრაფიკის პაკეტების გადაცემის გარანტირებული ხარისხის მახასიათებლად განისაზღვროს: IP პაკეტების დანაკარგების დასაშვები დონე-1%; გადაცემული პაკეტების დაყოვნების დრო -50 მილი\წმ;

6. დაზიანების შემთხვევაში (რაც არ არის გამოწვეული ფორს-მაჟორული გარემოებებით) მხარე, რომლის ტექნიკური საშუალებაც გამოვიდა მწყობრიდან დაუყონებლივ ატყობინებს მეორე მხარეს მის შესახებ და იღებს ყველა შესაძლო ზომას, რომ არაუგვიანეს 12 საათის განმავლობაში აღმოფხვრას ავარიის შედეგები, ან სხვა გზით აღადგინოს ურთიერთჩართვა;

7. გლობალ ერთის უზრუნველყოფს პირდაპირ გაფართოებულ ურთიერთჩართვას, ხოლო ტრანზიტული ურთიერთჩართვა განხორციელდება დამატებითი შეთანხმებით;

8. ყოველ გამოყოფილ 100 მგ\წმ ექვივალენტური პორტისთვის მხარეები ანგარიშსწორებას მოახდენენ 500 ლარის ოდენობით დღგ-ს გარეშე;

9. ანგარიშსორება იწარმოებს ურთიერთგაქვითვის პრინციპის საფუძველზე, ანგარიშ-ფაქტურების გაცვლით და ურთიერთმოთხოვნათა გაქვითვით.

10. მხარეთა მიერ ერთმანეთისთვის ანგარიშ-ფაქტურების წარდგენა იწარმოებს საანგარიშო თვის მომდევნო თვის 12 რიცხვამდე.

12. პირდაპირი გაფართოებული ურთიერთჩართვის შესახებ წერილობითი მოთხოვნიდან 3 (სამუშაო) დღის ვადაში „გლობალ ერთი"-ს მსურველ ოპერატორს აცნობებს ურთიერთჩართვისთვის საჭირო საშუალებების არსებობის შესახებ, რომლის არსებობის შემთხვევაში გაფორმდება 5 (ხუთი) სამუშაო დღის ვადაში ხელშეკრულება.

13. ურთიერთჩართვის წერტილის სხვა ადგილას გადატანის შესახებ „გლობალ ერთი" მეორე მხარეს აცნობებს ერილობით 1 (ერთი) თვით ადრე.

14. მოწვევის ოფერტის მოქმედების ვადაა 12 თვე.

სს. „გლობალ ერთის"
გენერალური დირექტორი — გ. მაჩიტიძე